საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონტინენტური შელფი

კონტინენტური შელფი, სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებს მიკუთვნებული ზღვის ფსკერის ტერიტორია თავისი წიაღისეულით, რომელზეც მოსაზღვრე სახელმწიფო ახორციელებს სუვერენულ უფლებას ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენებისათვის.

კ. შ-ის ცნება ჩამოყალიბებულია გაეროს 1982 კონვენციაში საზღვაო სამართლის შესახებ. კ. შ. ამ კონვენციის დებულებების მსგავსად არის განმარტებული საქართვ. კანონმდებლობაშიც. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კ. შ. არის ზღვის ფსკერი, რ-იც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე ან ვრცელდება არაუმეტეს 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რ-ებიდანაც ხდება ტერიტ. წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. ცალკეულ შემთხვევებში კ. შ-ის გარე საზღვარი დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშ. ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

საქართველოს კ. შ-ის რესურსია ზღვის ფსკერზე და მის წიაღში არსებული წიაღისეული, აგრეთვე სხვა არაცოცხალი რესურსი. მას მიეკუთვნება შავი ზღვის შესაბამისი ნაწილის ფსკერის ქვეშ არსებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რ-ის შესწავლა და გამოყენება შესაძლებელია თანამედროვე მეცნ.- ტექ. საშუალებებით.

საქართვ. კონსტიტუციის თანახმად, კ. შ-ის სტატუსის განსაზღვრა და მისი დაცვა (ანუ inter alia), მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწ. ორგანოთა განსაკუთრებულ

გამგებლობას მიეკუთვნება. კ. შ., როგორც სახელმწიფო ქონება, არ ექვემდებარება პრივატიზებას.

კ. შ-ის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის დაწესებულია მოსაკრებელი, რ-ის ოდენობა განისაზღვრება სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით.

იხ. აგრეთვე *საერთაშორისო საზღვაო სამართალი*.

ი. უჯმაჯურიძე